სსიპ კურორტების
განვითარების სააგენტო

0186 პოლიტკოვსკაიას 7
თბილისი, საქართველო
+995 32 250 03 37
info@resorts.gov.ge

13 / დეკემბერი / 2024 წ.

KARR0145231291824

№ **06/260**

საქართველოს
პრემიერ-მინისტრს
საქართველოს
პარლამენტის თავმჯდომარეს
საქართველოს
საკანონმდებლო მაცნეს

წარმოგიდგენთ ინფორმაციას საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად:

ა) საჯარო დაწესებულებაში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემისა და საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნათა რაოდენობის შესახებ და მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ;

მიმდინარე წლის საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით შემოსულია 1 განცხადება, რომელსაც გაეცა პასუხი.

ბ) მოთხოვნის დაკმაყოფილების ან მოთხოვნაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის, გადაწყვეტილების მიმღები საჯარო მოსამსახურის ვინაობის, აგრეთვე კოლეგიური საჯარო დაწესებულების მიერ საკუთარი სხდომის დახურვის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ;

საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით სსიპ კურორტების განვითარების სააგენტოში შემოსული განცხადება დაკმაყოფილდა, ხოლო უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება არ ყოფილა;

სსიპ - კურორტების განვითარების სააგენტოს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია სააგენტოს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი;

კოლეგიური საჯარო დაწესებულების მიერ სხდომის დახურვის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

გ) საჯარო მონაცემთა ბაზების თაობაზე:

საჯარო ინფორმაციის მოპოვება ხორციელდება შემდეგი პროგრამების საშუალებით

1) დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა „დესი“.

დ) საჯარო მოსამსახურეთა მიერ ამ კოდექსის მოთხოვნების დარღვევის რაოდენობისა და პასუხისმგებელი პირებისათვის დისციპლინური სახდელების დადების შესახებ;

2024 წლის განმავლობაში სააგენტოს თანამშრომელთა მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები გამოყენებული არ ყოფილა.

ე) იმ საკანონმდებლო აქტების შესახებ, რომლებსაც დაწესებულება ეყრდნობოდა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას ან კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვისას;

- „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“;

- საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“;

- „სსიპ კურორტების განვითარების სააგენტოს დებულება“.

ვ) საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების შესახებ;

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება - 0;

ზ) საჯარო დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან, აგრეთვე საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ან კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯების, მათ შორის მხარის სასარგებლოდ გადახდილი თანხების შესახებ;

ზემოაღნიშნულ ფაქტებს ადგილი არ ჰქონია.

პატივისცემით,

დირექტორი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ალექსანდრე ონოფრიშვილი